დანართი №1

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2"-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება"

მონიტორინგის შესახებ

დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: მაგდა ბარამაძე
წევრი:
მანანა მოისწრაფიშვილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების სახელწოდება: სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა0(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 430035874

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

■ მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:

სრული მონიტორინგის შემთხვევაში ივსება პროგრამებზე ცალ-ცალკე, კონკრეტული პროგრამის/პროგრამების მონიტორინგის შემთხვევაში ივსება კონკრეტულ პროგრამაზე/პროგრამებზე ცალ-ცალკე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2	40	0	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2022 წლის 29 აგვისტოს №960523 ბრძანებით საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2 -ში (შემდგომში - კოლეჯი) 2022 წლის 8 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

კოლეჯმა, "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა საბჭოს 2022 წლის 2 მარტის №218523გადაწყვეტილებით, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. (იხ. 2022 წლის 2 მარტის N 217159 და 2022 წლის 26 აპრილის №420486 სხდომის ოქმები) კოლეჯის მიერ 2022 წლის 24 აგვისტოს № 939312 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯფუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე საგანმანათლებლო რესურსები. მტკიცებულებების ადგილზე შემოწმებით დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

„პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განისაზღვროს პროფესიული სტუდენტი და არა „მსმენელი“, ვინაიდან პროგრამა არ წარმოადგენს მომზადება/გადამზადების პროგრამას“.

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განსაზღვრული აქვთ **„პროფესიული სტუდენტი“, „მსმენელის“ ნაცვლად.**

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

არ გაცემულა

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში / Secondary Vocational Qualification in Topography
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2ის“ დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის N1284500 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის N28

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40 პროფესიული სტუდენტი,
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება		
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**სრული შესაბამისობა**
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ქალაქ ზესტაფონში, ნ.ნიკოლაძის N28-ში მდებარე სასწავლო ფართზე. დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ქონდა დირექტორის 2021 წლის 30 ნოემბრის MES 5 21 0001284958 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, სადაც პროგრამისათვის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება'' აღჭურვილობის შეძენის პროცესის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 მაისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წინა ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული გარემო დაწესებულებას აღჭურვილი ჰქონდა A ტიპის გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით. ისინი გეგმავდნენ A და B გარემოს შერწყმას, B გარემოსთვის კომპიუტერულ ტექნიკას შეძენას. წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ყველა ტექნიკა. ვიზიტის ფარგლებში, მატერიალურად გადამოწმდა დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს გეოინსტრუმენტთან გაფორმებული ხელშეკრულები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. ასევე განხორციელდა შეძენილი ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება. ადგილზე სასწავლო გარემოს აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დააწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა შეძენილია ამ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალის შესაბამისად. ასევე, დაწესებულებაში მოწყობილია AC ინტეგრირებული გარემო, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, პრაქტიკულ უნარებს პროფესიული სტუდენტების გამოიმუშავებენ კოლეჯის მფლობელობაში არსებული აღჭურვილობის გამოყენებით საველე პირობებში, ხოლო გაცნობითი პრაქტიკის უზრუნველყოფა ხორციელდება კოლეჯის დამფუძნებელი კომპანიის ,,ბიქეი ქონსტრაქშენის“ რეგიონში მიმდინარე ობიექტებზე ექსკურსიების ფორმატში. დაწესებულება, განაცხადში დაფიქსირებული 40 სტუდენტის მიღებას გეგმავს ორ ცვლაში. გამომდინარე აქედან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. სულ პროგრამას განახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში დაფიქსირებული ჰქონდა შემდეგი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლება იგეგმებოდა 2022 წლის 30 მაისამდე პერიოდში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კოლეჯის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ვებინარები, სამუშაო შეხვედრები. პროფესიულმა მასწავლებლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ სრულად ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავების პროცესში და აქტიურად იღებენ უკუკავშირს პროგრამის ხელმძღვანელისგან. მსჯელობენ თუ რა სახის რისკები შეიძლება წარმოიშვას პროგრამის დანერგვის პროცესში და რა როგორია სავარაუდო მოგვარების გზები.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, სასწავლო საქმიანობასა და დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება N08-58 (15 ნოემბერი 2021 წ.), რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის გზით დამატებისთვის გაწეულ საქმიანობაში და სრულად აქვს გაცნობიერებული მისი ფუნქცია პროგრამის განხორციელების სტადიაზეც.

5. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ბიბლიოთეკაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, და ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე.

საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ კოლეჯის სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
6. სსსმ პირებს, საჭიროების შემთხვევაში, წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის/პირების სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნით, რაც გულისხმობს სასწავლო ფართის სრულად ადაპტირებას, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას.
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლებად განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 14 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განსაზღვრული აქვთ ,,პროფესიული სტუდენტი“, „მსმენელის“ ნაცვლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი ,,კონსტრუქტ2“ -სა და შპს ,,გეოინსტრუმენტი“-ს შორის 2022 წლის 31 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №18;
- მიღება-ჩაბარების აქტი N 18, 09 მარტი 2022 წელი.
- ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ -სა და შპს ,,სპექტრი“-ს შორის 2022 წლის 8 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №97;
- მიღება-ჩაბარების აქტი N 97, 15 ივნისი 2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- პროგრამის დანართი მატერიალური რესურსის შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

15.09.2022 წელი
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------